სოფლის მეურნეობის სიახლეები - საქართველო

საწყობი - ლოჯისტიკის ცენტრი გაიხსნება ზუგდიდში
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში განაცხადეს, რომ საწყობი-ლოჯისტიკის ცენტრი გაიხსნება ზუგდიდში (სამეგრელო) 11 474 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე ჯანაშიას ქუჩაზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთის მფლობელია შპს „ბი ემ სი ჯორჯია“, რომელმაც შეიძინა მიწა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ელექტრონული აუქციონის მეშვეობით. კომპანია ცენტრის მოწყობაში მოახდენს არანაკლებ 600 000 ლარის ინვესტირებას. მიწის ნაკვეთი და შენობები, რომლის საწყისი ფასი იყო 450 000 ლარი, გაიყიდა 452 000 ლარად, განაცხადეს სამინისტროში. „ბი ემ სი ჯორჯია“ სამშენებლო მასალების რეალიზაციას აწარმოებს საქართველოში.
Sarke Information News, 31 მაისი, 2016

მეფუტკრეობის სამეცნიერო ბაზის მშენებლობა მუხურში უახლოეს მომავალში დასრულდება
სოფლის მეურნეობის სამინისტროში განაცხადეს, რომ მეფუტკრეობის სამეცნიერო ბაზის მშენებლობა სოფელ მუხურში (ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სამეგრელო) დასრულდება უახლოეს მომავალში და დაიწყება ქართული ფუტკრის ფართომასშტაბიანი კვლევა. სამუშაოების ღირებულება არ არის მითითებული. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საუკეთესო ბიოლოგიური თვისებების მქონე ადგილობრივი პოპულაციის ფუტკარი შეირჩა და ამჟამად გადის გაწმენდის პროცესს, ანუ მიმდინარეობს სასელექციო მასალების წარმოება, აღნიშნეს სამინისტროში და მიუთითეს, რომ ეს სასელექციო მასალა გადანაწილდება უახლოეს მომავალში რეგიონებში, რაც ხარისხს გააუმჯობესებს და პროდუქტიულობას გაზრდის 35%-ით.
Sarke Information News, 30 მაისი, 2016

ზემო სამგორის სარწყავი არხის რეაბილიტაცია დეკემბერში დასრულდება
სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის რეაბილიტაცია გარდაბნის მუნიციპალიტეტში (ქვემო ქართლის რეგიონი) დეკემბერში დასრულდება. რეაბილიტაციის ღირებულება 512 000 ლარია და სამუშაო აპრილში დაიწყო, აღნიშნეს სამინისტროში. სამუშაოების დასრულების შემდეგ 3 სოფელში 1 000 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწა მოირწყვება, ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. სამინისტროს განცხადებით, 2012 წლის შემდეგ, ქვემო ქართლის სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის 18 პროექტი უკვე დასრულდა. ამჟამად, რეგიონში ხორციელდება 7 სამელიორაციო ინფრასტრუქტურის პროექტი და 27 - საქართველოს მასშტაბით.
Sarke Information News, 30 მაისი, 2016

„საწყობის ჩეკი“ - ახალი ფინანსური ინსტრუმენტი ფერმერებისთვის
სტატიის თანახმად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო დონორ ორგანიზაციებთან (PAFAI და FAO) ერთად მუშაობს ახალ ფინანსურ ინსტრუმენტზე, ე.წ. „საწყობის ჩეკზე“. საპილოტე პროექტის დაწყება იგეგმება წლის ბოლოსთვის. როგორც მინისტრის მოადგილე დავით გალეგაშვილი აღნიშნავს, შეღავათიანი აგროკრედიტის სახელმწიფო პროგრამის მიუხედავად, ფერმერები ხშირად ვერ იღებენ სესხს. თავის მხრივ, „საწყობის ჩეკი“ ითვალისწინებს კოოპერატივის მიერ სპეციალური ქვითრის გაცემას ფერმერისთვის, რომელიც ადასტურებს, რომ მას აქვს, მაგალითად, 1 ტონა თხილი საწყობში შენახული, განაცხადა გალეგაშვილმა და აღნიშნა, რომ ფერმერი წარადგენს ამ დოკუმენტს მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში, რომელიც შეაფასებს შენახული პროდუქციის ღირებულებას და მისცემს სესხს ფერმერს ამ დოკუმენტის საფუძველზე. გალეგაშვილი აღნიშნავს, „ჩვენ არ გვქონდა განხილვა ბანკებთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენ მხოლოდ განვიხილეთ საკითხი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალთან“ და მათ თანხმობა განაცხადეს ჩაერთონ ამ პროექტში“. გალეგაშვილი აღნიშნავს, რომ „ჩვენ შევარჩიეთ თხილი [საპილოტე პროექტისთვის] იმიტომ, რომ ამ პროდუქტზე არის მოთხოვნა მსოფლიო ბაზარზე და ის ადვილი შესანახია“. ფასზე საუბრისას მინისტრის მოადგილემ აღნიშნა: „შესაბამისი გამოცდილება დაგროვდა წლების განმავლობაში.

ყველაზე დაბალი ფასი თხილზე არის 3 ლარი, უმაღლესი - 10 ლარი. ბანკი შეაფასებს რისკს და შესაბამის გადაწყვეტილებას ამგვარად მიიღებს“.
Sarke Information News, 30 მაისი, 2016

სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასი წარმოუდგენელი ტემპით იზრდება
რამდენიმე წლის წინ 1 ჰა მიწის ღირებულება იყო 500-დან 4 000 აშშ დოლარამდე და მყიდველებში არ იყო დიდი დაინტერესება, ახლა კი, ფასი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მერყეობს 1 000-დან და 8 000 აშშ დოლარამდე, წერს გაზეთი. ჯერ-ჯერობით, სახელმწიფო მიწების გაყიდვა შეჩერებულია, კერძო მესაკუთრეებს კი არ აქვთ რეგისტრირებული მათი ნაკვეთები საჯარო რეესტრში, წერს გაზეთი და დაასკვნის, რომ ეს ვითარება სასოფლო-სამეურნეო მიწის ფასის სწრაფი ზრდის ერთ-ერთი მიზეზია. აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ავთანდილ მესხიძე მიუთითებს, რომ ფასების ზრდამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე ხელი შეუწყო ხალხის დაბრუნებას სოფლებში. „გასულ წელს თხილის ფასი მკვეთრად გაიზარდა და ხალხმა დაიწყო მიწების ყიდვა და თხილის დარგვა. გაიზარდა ასევე ციტრუსის ფასი“, ამბობს ის.
Sarke Information News, 24 მაისი, 2016

მიმდინარეობს რძის პროდუქტების კოოპერატივების რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამა
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, რძის პროდუქტების კოოპერატივების რეგისტრაციის სახელმწიფო პროგრამა უკვე მიმდინარეობს, და 1 ივლისამდე გაგრძელდება. რეგისტრაცია შეიძლება ონ-ლაინ წესის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საიტზე, განაცხადეს სამინისტროში. იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულ იქნება სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისთვის საჭირო კრიტერიუმები, რძის პროდუქტების მწარმოებლები მიიღებენ მცირე რძის გადამამუშავებელ საწარმოს, რომელიც აღჭურვილია ლაბორატორიული ხელსაწყოებით რძის ნედლეულის კონტროლისთვის, განაცხადეს სამინისტროში. მთავრობის განცხადებით, რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამის ღირებულება შეადგენს 360 000 ლარს.
Sarke Information News, 23 მაისი, 2016

შეიქმნება ენდემური ჯიშების და პოპულაციების გენეტიკური ბანკი
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ გეგმავს გენეტიკური ბანკის შექმნას ადგილობრივი ჯიშების და პოპულაციებისთვის. ამ ეტაპზე სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი ატარებს კვლევებს ორი მიმართულებით: ადგილობრივი საქონლისა და ფრინველის ჯიშების მოძიება და აღდგენა/გაუმჯობესება; აგრეთვე სამრეწველო მეცხოველეობის განვითარების სამეცნიერო უზრუნველყოფა. ქართული მთის ძროხის, კახური ღორის, ენდემური ქათამის და ჩალისფერი ინდაურის სახეობები შეისწავლეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, განაცხადეს სამინისტროში და აგრეთვე მიუთითეს, რომ სახეობების დაჯგუფება მოხდა თელეთის ექსპერიმენტული საქონლის ფერმაში შესწავლილი ჯიშების ბაზაზე.
Sarke Information News, 23 მაისი, 2016

გაყინული ხორცი - რისკი მთელი საქართველოსთვის!
საქართველოს მოსახლეობა მოიხმარს 131 000 ტ-ზე მეტ ხორცს და ხორცის პროდუქციას ყოველწლიურად. აქედან დაახლოებით 40% მოდის ადგილობრივ წარმოებაზე, ხოლო დანარჩენი 60% იმპორტირებულია. არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა გაყინული ხორცის წილის თაობაზე ადგილობრივ წარმოებაში, თუმცა, უხეში გათვლებით, 60%-ს აჭარბებს, წერს გაზეთი. გაყინული ხორცი შემოდის რამდენიმე ქვეყნიდან და პირველ სამეულში შედის ბრაზილია, არგენტინა და ინდოეთი. ექსპერტები აცხადებენ, რომ გაყინული პროდუქტები უფრო იაფია და, აქედან გამომდინარე, პოპულარულია სწრაფი კვების ობიექტებში და რესტორნებში/ სასტუმროებში. 1 კგ გაყინული ხორცი 5-7 ლარი ღირს ბაზარზე, განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს კვების პროდუქტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა კახა სოხაძემ და დასძინა, რომ გაყინული ხორცი, რომელიც შემოდის საქართველოს ბაზარზე, გადის სპეციალურ შემოწმებას სწრაფი კვების ობიექტებზე, ასევე მაცივრებში და ხორცის პროდუქტების მწარმოებელ კომპანიებში. „ჩვენ გამოვავლინეთ რამდენიმე შემთხვევა გასულ წელს, როდესაც ხორცი მიკრობიოლოგიურად

დაბინძურებული იყო და მივიღეთ შესაბამისი ზომები. ამ წლის 5 თვის განმავლობაში, ჩვენ არ გვქონდა არც ერთი დარღვევა ჯერ-ჯერობით“, განაცხადა სოხაძემ.
Sarke Information News, 23 მაისი, 2016

კახეთის და შიდა-ქართლის რეგიონებში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა სასოფლო-სამეურნეო პრეპარატებს მიიღებს

მიმდინარე წლის მაისში კახეთისა და შიდა-ქართლის რეგიონებში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობა დღეიდან სასოფლო-სამეურნეო პრეპარატების მიღებას შეძლებს, განაცხადაეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში. პრეპარატების ღირებულების სუბსიდირებას სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს. სუბსიდირების თანხა 1 ჰა-ზე 180 ლარს შეადგენს. დახმარებას მიიღებს შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონების ყველა ის ბენეფიციარი, რომელსაც მრავალწლოვანი კულტურები დაუზიანდა 1-16 მაისის სეტყვის შედეგად.
Sarke Information News, 19 მაისი, 2016

თანამშრომლობის ჩარჩო ხელშეკრულება FAO-სთან გაფორმდება უახლოეს მომავალში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს განცხადებით გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ჩარჩო ხელშეკრულებას ხელი მოეწერება უახლოეს მომავალში. ეს საკითხი განხილულ იქნა შეხვედრაზე მინისტრ ოთარ დანელიას და ალბანეთში, სომხეთში, საქართველოში და მოლდოვაში FAO-ს წარმომადგენელ რაიმუნდ ელეს შორის. სამინისტროს ცნობით, მინისტრმა ასევე ისაუბრა სახელმწიფო პროგრამის შესახებ, რომელიც მხარს უჭერს მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, და პროგრამის „ქართული ჩაი“ განხორციელების შესახებ.
Sarke Information News, 19 მაისი, 2016

სოფლის მეურნეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიაზე მუშაობა დასრულდა

აჭარის მთავრობის ცნობით, რეგიონის 2016-2020 წლის სოფლის განვითარების სტრატეგიაზე მუშაობა დასრულდა. დოკუმენტი აჭარის მთავრობის სხდომაზე 17 მაისს დამტკიცდა. მთავრობამ აღნიშნა, რომ ასეთი სტრატეგიული დოკუმენტი პირველად შემუშავდა სოფლის მეურნეობისთვის საქართველოში. სამუშაო ჩატარდა პროექტის „ENPARD-აჭარა - სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში“ ფარგლებში და მისი თანადაფინანსება მოხდა ევროკავშირის და აჭარის მთავრობის მიერ.
Sarke Information News, 18 მაისი, 2016

სს „თელიანი ველის“ შვილობილი საწარმო ააშენებს ლუდსახარშს

სს „თელიანი ველი“ (Liberty Consumer-ის შვილობილი ღვინის კომპანია) მოახდენს ემისიას, რათა დააფინანსოს საინვესტიციო პროექტი - ლუდსახარშის მშენებლობა და განვითარება. საქმე ეხება 200 მილიონი ჩვეულებრივი აქციის საჯარო შეთავაზებას 0,065 აშშ დოლარის ღირებულებით ერთ აქციაზე. შეთავაზების ვადა იწურება 20 მაისს. ლუდსახარშის პროექტი განხორციელდება „თელიანი ველის“ შვილობილი საწარმო „გლობალ ბიერ ჯორჯია“-ს მიერ, რაც მოიცავს ასევე წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას. წინასწარი ინფორმაციით, პროექტის ღირებულება შეადგენს 37 მილიონ აშშ დოლარს (დღგ-ს გამოკლებით). ამ თანხიდან დაახლოებით 13 მილიონი აშშ დოლარი დაფინანსდება აღნიშნული ემისიიდან, ხოლო დანარჩენი თანხა მოზიდული იქნება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და/ან ადგილობრივი ბანკებისგან და/ან ანაზღაურდება საკუთარი სახსრებით. სამუშაოები დაგეგმილია უკვე ამ თვეში, ხოლო სასაქონლო ნიშნის სალიცენზიო ხელშეკრულებების შესაბამისად, ლუდსახარშს უფლება ექნება დაიწყოს წარმოება დეკემბერში. „თელიანი ველის“ გაყიდვები შემცირდა 4,2%-ით 2015 წელს და შეადგინა 29,5 მლნ ლარი. როგორც კომპანიაში განმარტავენ, შემცირება გამოწვეული იყო ძირითადად გაყიდვების შემცირებით 17 მილიონი ლარიდან 14,7 მლნ ლარამდე (ანუ 13,2%-ით). კომპანიის შეფასებით, ჩამოსხმული ღვინის 95%-ის რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე შემოდგომაზე 7-8 კომპანიაზე მოდიოდა, ხოლო თავად „თელიანი ველის“ წილი იყო 40%. ძირითადი საექსპორტო ქვეყნები არიან უკრაინა, რუსეთი, ბალტიისპირეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, პოლონეთი, აშშ. სამაგიეროდ, 2015 წელს გაიზარდა კომპანიის ლუდის გაყიდვები 3,4 მლნ ლარიდან 2014 წელს 4,8 მლნ ლარამდე (ანუ 30%-ით). 2015

წლის 31 დეკემბერისთვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 2,8 მლნ ლარამდე (ნომინალური ღირებულება ერთ აქციაზე - 0,01 ლარი), ხოლო ანაზღაურებული კაპიტალი იყო 770 943 ლარი. კომპანიის 50,23%-ის მფლობელია კომპანია Liberty Consumer, ხოლო 20,47% ეკუთვნის BGEO ჯგუფს.
Sarke Information News, 17 მაისი, 2016

ევროკავშირმა აღიარა ქართული თაფლის კონტროლის სისტემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ევროკავშირმა საქართველოს თაფლის კონტროლის სისტემა აღიარა. აღნიშნული საკითხი განიხილეს დღეს მინისტრმა ოთარ დანელიამ და ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა. ევროკომისიის ადამიანის ჯანმრთელობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის დირექტორატმა რეკომენდაციით მიმართა ევროკომისიას, რათა საქართველო შეყვანილი იქნეს იმ მესამე ქვეყნების ჩამონათვალში, საიდანაც ევროკავშირის ბაზარზე თაფლის იმპორტი ნებადართულია, განაცხადეს სამინისტროში. ელჩმა ჰერმანმა ამის თაობაზე შეხვედრაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ დირექტორატმა დადებითად შეაფასა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში თაფლის სახელმწიფო კონტროლთან დაკავშირებით განხორციელებული ღონისძებები, კერძოდ ვეტერინარული პრეპარატების ნარჩენი ნივთიერებების ლაბორატორიული კვლევების შედეგები. „თაფლის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი 2015 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდა საქართველოში.
Sarke Information News, 17 მაისი, 2016

მეფრინველეობის ფერმა გარდაბანში და კვების პროდუქტების ფაბრიკა ახალციხეში გაიხსნება პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცნობით, Roaster Ltd გახსნის ფრინველის საწარმოს სოფელ თელეთში (გარდაბნის მუნიციპალიტეტი, ქვემო ქართლის რეგიონი) სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში. ამ მიზნით, სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ გადასცა 4 358 კვ.მ მიწის ნაკვეთი Roaster-ს სიმბოლურ ფასად (1 ლარად). საწარმო მინიმუმ 75 ტ ქათმის ხორცს აწარმოებს ყოველწლიურად. შპს-მ თავის თავზე აიღო 143 120 ლარის ინვესტიცია და შექმნა 20 სამუშაო ადგილი. თავის მხრივ, LLC Freko-მ მიიღო 1 386 კვმ მიწის ნაკვეთი და შენობა სოფელ მუსხში (ახალციხის მუნიციპალიტეტი, სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) ასევე სიმბოლურ ფასად. შპს ვალდებულებას იღებს აწარმოოს კვების პროდუქტები და 150 ტ კარტოფილი „ფრი“ ყოველწლიურად. კომპანია მოახდენს 67 920 ლარის ინვესტირებას და დაასაქმებს არანაკლებ 20 ადამიანს. ამ ეტაპზე 171 საწარმო არის დაფინანსებული პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში, ხოლო ინვესტიციები მთლიანად აღემატება 395 მილიონ ლარს, აღნიშნეს სამინისტროში.
Sarke Information News, 16 მაისი, 2016

უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები გამოყენებული იქნება 5 საწარმოში
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტები გამოყენებული იქნება 5 საწარმოში სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და USAID-ის პროექტის „საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის აღდგენა“ თანადაფინანსებით. კერძოდ, ISO 22000 სტანდარტის დანერგვა დაგეგმილია 3 თხილის და 2 ხილის გადამამუშავებელ საწარმოში. დღეს ხელი მოეწერა ოთხმხრივ ხელშეკრულებებს, რომლებიც ითვალისწინებს სააგენტოს და დონორი ორგანიზაციების მიერ სურსათის უვნებლობის მართვის ამ სისტემის დანერგვის ღირებულების 80%-ის თანადაფინანსებას, განაცხადეს სამინისტროში. სამინისტროს განცხადებით, სააგენტო ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების და შენახვის საწარმოების თანადაფინანსების პროექტს 2014 წლიდან. ამ პროექტის ფარგლებში 12 ახალი საწარმო დაფინანსდა, ხოლო სახელმწიფომ უკვე გამოყო 3,31 მილიონი აშშ დოლარის გრანტი, განაცხადეს სამინისტროში და აღნიშნეს, რომ გარდა ამისა, ბენეფიციარი კომპანიები სარგებლობდნენ დამატებითი 11%-იანი თანადაფინანსებით შეღავათიანი სესხების საპროცენტო განაკვეთზე, რაც საერთო ჯამში 3,84 მილიონი აშშ დოლარია.
Sarke Information News, 13 მაისი, 2016

სასათბურე მეურნეობა გაფართოვდა სამტრედიაში

საპარტნიორო ფონდის ცნობით, 1,6 ჰა სასათბურე მეურნეობა სამტრედიაში ფართოვდება (იმერეთის რეგიონი), რაც განხორციელდება ქართული Fresh Holding BV-ს ძალისხმევით. საინვესტიციო პროექტის ღირებულება შეადგენს 4,2 მილიონ ევროს, აქედან ფონდის წვლილი შეადგენს 1,4 მილიონ ევროს. როგორც ფონდში განაცხადეს, სათბურმა უნდა აწარმოოს დაახლოებით 1000 ტონა სხვადასხვა ბოსტნეული ადგილობრივი ბაზრისთვის. თუმცა, ასევე არსებობს პოტენციური საექსპორტო შესაძლებლობა მეზობელ ქვეყნებში. სასათბურე მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით, Georgian Fresh Holding BV-მ ჩამოაყალიბა შპს Imereti Greenery და დაიწყო სხვადასხვა სახის ფოთლოვანი სალათის მოშენება თებერვალში (წლიური გამომუშავება - 160 ტ.). კომპანიაში დასაქმებულია 23 ადამიანი, მათი რიცხვი უნდა გაიზარდოს 40-მდე გაფართოების დასრულების შემდეგ.

Sarke Information News, 11 მაისი, 2016

ჩინეთი იწყებს ჩაის განვითარების პროექტს საქართველოში

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ჩინეთის დელეგაცია ეწვია სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრს საქართველოს ჩაის მრეწველობის განვითარების პროექტის ფარგლებში. მხარეთა შეხვედრა მიზნად ისახავს სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვას ამ პროექტის ფარგლებში. მხარეები შეთანხმდნენ პროექტის 5 ეტაპად განხორციელებაზე: საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების აღდგენა; ახალი პლანტაციების გაშენება; ჩაის მოყვანის და გადამუშავების ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სამეცნიერო საქმიანობა, აცხადებენ სამინისტროში. სამინისტროს ცნობით, დღეს ჩინეთის მხარესთან ხელი მოაწერეს შეთანხმებას „საქართველოს ჩაის მრეწველობის, ვაჭრობის, კულტურისა და ტურიზმის კომპლექსური პროექტი“.

Sarke Information News, 11 მაისი, 2016

8,76 მლნ აშშ დოლარი და 2,76 მლნ ლარი გაიცა პირველ კვარტალში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, 293 სასოფლო-სამეურნეო კრედიტი 8,76 მილიონი აშშ დოლარის და 63 - 2,76 მილიონი ლარის ოდენობით გაიცა I კვარტალში შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამამუშავებელი კომპანიების თანადაფინანსების სახით 265 842 აშშ დოლარი (ექვივალენტი ლარში) გაიცა. 29 პროექტი საერთო ღირებულებით 18,96 მლნ, საიდანაც 6,8 მილიონი აშშ დოლარი სახელმწიფო თანადაფინანსებაა, დამტკიცდა 2014-2016 წლებში, ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში. პროექტის „დარგე მომავალი“ ფარგლებში, 100-მდე განაცხადი დამტკიცდა წელს, ხოლო სულ თანადაფინანსება ნერგებზე და სარწყავ სისტემებზე შეადგენს 2,37 მილიონ ლარს. სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ აღნიშნული ციფრები გუშინ წარმოადგინა კვარტალურ ანგარიშში. როგორც მან აღნიშნა, სამინისტროს გეგმა I კვარტალში შესრულებული იყო 94%-ით. ამასთან, სამინისტროს ინფორმაციით, ბიზნეს ოპერატორების შემოწმება გაიზარდა I კვარტალში 2015 წლის ამავე პერიოდთან შედარებით (81%-ით დოკუმენტური აუდიტის და 65%-ით - ინსპექტირების შემთხვევებში). სამინისტროში აღნიშნეს, რომ დარღვევის ფაქტები შემცირდა, რაც ახსნეს „ბიზნესის ოპერატორების კარგად ინფორმირებით სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ და ინფორმირებულობის დონის ამაღლებით“.

Sarke Information News, 10 მაისი, 2016

სოფლის მეურნეობის სიახლეები - სომხეთი

სომხეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 2016 წლის იანვარ-აპრილში შეადგინა 117,7 მილიარდ დრამზე მეტი

სომხეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 2016 წლის იანვარ-აპრილში შეადგინა 117,7 მილიარდ დრამზე მეტი მიმდინარე ფასებში, რაც 4,1%-ით აღემატება 2015 წლის ამავე პერიოდის მონაცემს, განაცხადეს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში (NSS). ოფიციალური ციფრების თანახმად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია თევზსაშენების პროდუქციასთან ერთად 4%-ით გაიზარდა წლიურად და 129,7 მილიარდი დრამი შეადგინა. პირუტყვის წარმოება გაიზარდა 3,3%-ით 99,2 მილიარდ დრამამდე;

მემცენარეობის მონაცემი გაიზარდა თითქმის 10%-ით 18,5 მილიარდ დრამამდე, ხოლო თევზის ფერმებზე არის 2,6%-იანი ზრდა 12 მილიარდ დრამამდე. 2016 წლის აპრილში თევზსაშენებზე წარმოებულია 1 396,3 ტონა თევზი, რაც 16,5%-იანი ვარდნაა 2015 წლის აპრილთან შედარებით (1 აშშ დოლარი - 477,99 დრამი).
ერევანი, 3 ივნისი / ARKA /

მფლობელები შეშფოთებული არიან თევზსაშენების დახურვით
თევზსაშენები სომხეთში იხურება რამდენიმე მიზეზის გამო: ესენია - თევზის წარმოების მაღალი თვითღირებულება, რუსეთში ექსპორტის შემცირება და მაღალი გადასახადები წყალზე. სომხეთის თევზის მწარმოებლების ასოციაციის და არასამთავრობო ორგანიზაციის „თევზის ექსპორტიორები“ ხელმძღვანელმა არტურ ატოიანმა განაცხადა, რომ წლის დასაწყისიდან სულ 25 თევზსაშენი დაიხურა უკვე და ბოლო სამი დღის განმავლობაში კიდევ სამი კომპანია შეუერთდა მათ რიცხვს. ასოციაციის ხელმძღვანელის პროგნოზებით, შემოდგომის ბოლოს 35-40 კომპანია ასევე შეიძლება დაიხუროს სარისკო პერიოდში. „მაისში კლება იწყება ამ სფეროში. თბილი თვეების განმავლობაში მოთხოვნა თევზზე მცირდება. ზაფხულის სეზონიდან ფასი თევზზე მცირდება შემოდგომამდე. ეს არის ყველაზე სარისკო პერიოდი სექტორისთვის. თუ ჩვენ რისკის პერიოდის დასაწყისში უკვე ნეგატიური შედეგები გვექნება, უფრო მეტი კომპანია დაიხურება“, - განაცხადა ატოიანმა. ჰაიკაზ ზეინალიანი, რომელიც ჩაერთო თევზის წარმოებაში 2009 წელს, დარწმუნებულია, რომ თევზის წარმოება სომხეთში არ არის მომგებიანი ბიზნესი. „ჩვენ, ძირითადად, რუსეთში ვაწარმოებდით ექსპორტს, სადაც ისეთი ფასებია, რომ ეს არ არის მომგებიანი ექსპორტი. თევზის მეურნეობის ზრდა შეჩერდა, ფასები ეცემა. აქაც დაეცა თევზის ფასი. ყველა ფერმას აქვს საკრედიტო ვალდებულებები. ბევრი არ ხურავს ბიზნესს, რათა შეძლოს სესხების გადახდა. ჩვენ მუდმივად გვეშინია წყლის გაძვირების, თუმცა ერთხელ ფასი უკვე გაიზარდა 10-ჯერ. გამეორების შემთხვევაში ბევრი ფერმა დაიხურება“. მეწარმეები სთავაზობენ, რომ, როგორც მინიმუმი, საპროცენტო განაკვეთები იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც უკვე აღებული აქვთ სესხები, უნდა შემცირდეს და წყლის ტარიფი არ უნდა გაიზარდოს. 2015 წელს ამერიკის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამის, რომელიც მიზნად ისახავს რესურსების შენარჩუნებას თანამშრომლობის მეშვეობით და მოწინავე სამეცნიერო ტექნოლოგიების გამოყენებით, განხორციელება დაიწყო. პროგრამა ითვალისწინებს ახალი ტექნოლოგიების დანერგვას თევზსაშენებზე და წყლის რესურსების სათანადოდ გამოყენებას. ატოიანის განცხადებით, პროგრამის ფარგლებში თევზის წარმოების საკითხები არაერთხელ დასმულა, მაგრამ იმდენი პრობლემა დაგროვდა წლების განმავლობაში, რომ შეუძლებელია რაიმე წარმატების მიღწევა. მისი თქმით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ არის პროგრესი. „მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რატომ იხურება უფრო და უფრო მეტი თევზსაშენი?“ კითხულობს ის. „ისინი ამბობენ, რომ ეს ხდება ეკონომიკური კრიზისის გამო ქვეყანაში. ეს არასწორია. ეს არის თევზის მწარმოებლებისგან თავდაცვის ხერხი. ისინი კი რეალურად ხელს უწყობენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. თევზის მეურნეობა არარატის ველზე თანდათან ქრება. ჩვენ გავაგზავნეთ 18 წერილი სამინისტროში, მაგრამ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა. გვპასუხობენ, რომ წერილები არ არის დასაბუთებული“, ამბობს ატოიანი. იმავდროულად, ტიგრან ალექსანიანმა, თევზის მრეწველობის და მეფუტკრეობის დეპარტამენტის უფროსმა სოფლის მეურნეობის სამინისტროში, განუცხადა armradio.am-ს, რომ პირველი ოთხი თვის განმავლობაში თევზის წარმოების მოცულობა და თევზის ექსპორტი გაიზარდა 100 ტონით გასული წელთან შედარებით. ექსპორტი ხორციელდება ძირითადად რუსეთში, საქართველოში და უკრაინაში. ასევე დაიწყეს ექსპორტი ცენტრალური აზიის ქვეყნებში. „დაახლოებით 70 ფერმამ ნებართვა მიიღო ექსპორტზე ევრაზიის ეკონომიკური კავშირშის [რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი და ყირგიზეთი] ქვეყნებში. თევზის ფერმები თანდათან ნერგავენ თანამედროვე ტექნოლოგიებს. თევზის მეურნეობების უწყვეტი დახურვის საფრთხე არ არსებობს, თუმცა გარკვეული რაოდენობის თევზის მეურნეობები იხურება, მაგრამ ახლებიც იხსნება. მონოპოლიზაციის საშიშროება არ არსებობს ამ დარგში. დღეს ჩვენ ვმუშაობთ თითქმის ყველასთან“, განაცხადა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა.
2 მაისი, Armenianow

სომხეთის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 11,7%-ით გაიზარდა 2015 წელს

2015 წელს მთლიანმა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციამ სომხეთში შეადგინა 1 ტრილიონ 2 მილიარდი დრამი (დაახ. 2 098 078 აშშ დოლარი). სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა განაცხადა აღნიშნულის შესახებ ოთხშაბათს საპარლამენტო დებატებში 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ქვეყანაში. მისი თქმით, ეს 11,7%-ით მეტია 2014 წლის მაჩვენებელზე. გარდა ამისა, მემცენარეობის კულტურების მთლიანი მაჩვენებელი 15,2 პროცენტით, ხოლო სარწყავი ფართობები 5,7 პროცენტით გაიზარდა წინა წელს. კარაპეტიანმა დასძინა, რომ სახნავ-სათესი მიწის მიზნობრივი გამოყენების დონე სომხეთში გაიზარდა 47 პროცენტიდან 79 პროცენტამდე.

25 მაისი, News.am

ოცი თევზსაშენი დაიხურა წელს

დაახლოებით ორი ათეული თევზსაშენი დაიხურა სომხეთში წლის დასაწყისიდან, სამი - ბოლო ხუთი დღის განმავლობაში, განაცხადა თევზის მწარმოებლების და ექსპორტიორების ასოციაციის თავმჯდომარე არტურ ატოიანმა. პრეს-კონფერენციაზე საუბრისას მან განაცხადა, რომ მთავარი მიზეზი არის ამ ბაზრის ეტაპობრივი მონოპოლიზება, რაც იწვევს თევზის პატარა ფერმების დახურვას. „თევზის მოშენების თვითღირებულება საკმაოდ მაღალია სომხეთში, ხოლო საბითუმო ფასები დაბალი. ეს არის დიდი პრობლემა თევზის ფერმებისთვის“, განაცხადა მან და დასძინა, რომ სიტუაციას ამძიმებს სეზონური ფაქტორიც, რადგან მაისიდან გვიან შემოდგომამდე თევზის გაყიდვები მკვეთრად მცირდება. ატოიანმა გააკრიტიკა სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რომელიც არ იღებს რაიმე პრევენციულ ზომებს, რათა პრობლემები ააცილოს ადგილობრივ თევზის მეურნეობებს. თევზის მეურნეობის მფლობელმა ჰაიკაზ ზეინალიანმა განაცხადა, რომ სომხეთის თევზის ექსპორტი დაეცა და თითქმის ყველა ფერმას აქვს საკრედიტო ვალდებულებები და, რომ ისინი ვერ გადაიხდიან სესხებს. მან განაცხადა, რომ წყლის გადასახადის დაგეგმილმა ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს მრავალი თევზის მეურნეობის დახურვა. სტატისტიკის მიხედვით, თევზჭერის მოცულობამ ამ წლის იანვარ-მარტში შეადგინა 10 მილიარდი დრამი, რაც 7,5%-იანი ზრდაა 2015 წლის იგივე პერიოდთან შედარებით.

ერევანი, 24 მაისი / ARKA /

სოფლის მცხოვრებლები აგრძელებენ პროტესტს ირიგაციის საკამათო პროექტთან დაკავშირებით

ცენტრალური სომხეთის დიდი სოფლის ასობით მცხოვრებმა ისევ გადაკეტა გზატკეცილი პარასკევს. საპროტესტო აქციები გრძელდება ხელისუფლების გეგმებთან დაკავშირებით სარწყავი მდინარის კალაპოტის შეცვლის თაობაზე. ხელისუფლებას სურს ააშენოს არხი იქ უფრო ფართო სარწყავი პროექტის ფარგლებში, რომელიც ძირითადად დაფინანსდება სამი წლის წინ მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი 30 მილიონი აშშ დოლარი სესხით. პროექტი ითვალისწინებს წყალსატუმბი რწყვის ნაცვლად გრავიტაციული რწყვის უზრუნველყოფას ოთხ სასოფლო-სამეურნეო რეგიონში. სესხის გამოყოფის შესახებ განცხადების გაკეთებისას 2013 წლის მაისში მსოფლიო ბანკში განაცხადეს, რომ პროექტი საშუალებას მისცემს ქვეყანას დაზოგოს როგორც სარწყავი წყალი, ასევე ელექტროენერგია, რომელიც გამოიყენება წყლის გადასატუმბად სასოფლო-სამეურნეო თემებში. „ის ასევე გამოიწვევს 2 400 ჰექტარი მიწის, რომელიც ადრე ირწყვებოდა, დაბრუნებას სარწყავი მიწების რიგში და გაზრდის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობას“, ნათქვამია განცხადებაში. პროექტის ფარგლებში, მდინარე აზატიდან, რომელიც ერევნიდან 30 კილომეტრში მიედინება სოფელ გარნისთან, წყალს მიიღებს 12 სოფელი სამხრეთ არარატის პროვინციაში გრავიტაციული სარწყავი სისტემით. ბევრი ფერმერი ეწინააღმდეგებოდა ამას თავიდან, რადგანაც მდინარე ისედაც ძლივს აკმაყოფილებს მათ საჭიროებებს სარწყავ და სასმელ წყალზე და აცხადებდა, რომ რომ ხელისუფლება სერიოზულ ზიანს მიაყენებდა მათ მეურნეობებს მდინარის კალაპოტის შეცვლით. სომხეთის გარემოს დაცვის ჯგუფები მხარს უჭერდნენ მათ მოთხოვნებს. კრიტიკოსები ასევე აცხადებდნენ, რომ ეს იყო სომხეთის პრემიერ-მინისტრი ჰოვიკ აბრაჰამიანის ინტერესი უფრო მეტად, ვიდრე არარატის ველის ფერმერების, რომელიც გახდება პროექტის მთავარი ბენეფიციარი. გავრცელებული ინფორმაციით, აბრაჰამიანი ფლობს მეხილეობის ამ რაიონში სასოფლო-სამეურნეო მიწის დიდ ნაწილს ერევანის სამხრეთით. მთავრობის წარმომადგენლებმა უარყვეს ეს ბრალდებები. საპროტესტო აქციები გარნში, სადაც 5 000-ზე მეტი მცხოვრებია, გაძლიერდა გასულ თვეში, როცა ხელისუფლებამ განალაგა მძიმე ტექნიკა

მშენებლობის დასაწყებად. ადგილობრივმა ფერმერებმა არაერთხელ გადაკეტეს გზატკეცილი, რომელიც გადის სოფელში და მიემართება სომხეთის ორი ყველაზე ცნობილი ტურისტული ადგილისკენ. ერთ-ერთი მათგანი არის წარმართული ძეგლი გარნი, რომელიც აშენებულია პირველ საუკუნეში, ჩვენი წელთაღრიცხვით. გაბრაზებულმა მომიტინგეებმა კვლავ გადაკეტეს გზა რამდენიმე საათის განმავლობაში პარასკევს. მათ უარი თქვეს გზის გახსნაზე მიუხედავად კოტაიქის პროვინციის, რომელშიც შედის გარნი, პოლიციის უფროსის მოთხოვნისა. აქციის მონაწილეებმა მისცეს მთავრობას ვადა კვირამდე სადავო პროექტის დასახურად.
20 მაისი / რადიო „თავისუფალი ევროპა“ / რადიო „თავისუფლება“ /

სომხეთის სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები სავარაუდოდ მაღალი იქნება წელს
სომხეთის სოფლის მეურნეობის მაჩვენებლები, სავარაუდოდ, მაღალი იქნება წელს, განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა ოთხშაბათს ეროვნულ ასამბლეაზე. „არსებობს ყველა საფუძველი იმისთვის, რომ ამ წლის მაჩვენებლები იქნება უფრო მაღალი, ვიდრე წინა წელს“, განაცხადა მან. სომხეთის სოფლის მეურნეობის და მეთევზეობის მთლიანი პროდუქტი გაიზარდა 11,5%-ით 1 030,1 მილიარდ სომხურ დრამამდე 2015 წელს. მინისტრის თქმით, საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია, მათ შორის თესვა და სასუქის შეტანა. უკვე მიმდინარეობს სათანადოდ. საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანია ყარაბაღში აზერბაიჯანის მხრიდან დაბომბვის გამო, თუმცა მცირე დაგვიანებით, მაგრამ მაინც წარმატებით განხორციელდა. 2016 წლის 2 აპრილს აზერბაიჯანმა დაიწყო თავდასხმები მთიანი ყარაბაღის საზღვრის ზოლის მთელ პერიმეტრზე. ოთხი დღის შემდეგ მოხერხდა ცეცხლის შეწყვეტა. კარაპეტიანმა ასევე განაცხადა, რომ სომხეთის ფერმერებმა, რომელთა ნათესები დაზიანდა დაბომბვის დროს, მიიღეს კომპენსაცია. (1 აშშ დოლარი - 478 სომხური დრამი).
ერევანი, 19 მაისი / ARKA /

პუბლიკაციები და სხვა

Business & Finance Consulting (BFC)-ის საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი, 2016 წლის მაისი #45 გამოცემა
საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი წარმოადგენს რეგულარულ სიახლეებს ინვესტიციების და ფინანსური ნაკადების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობაში. გამოცემას გაეცანით ამ ბმულზე.

http://agrogeorgia.blog.com/

ევროკავშირ/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენი
ევროკავშირი/საქართველოს სავაჭრო ბიულეტენის ბოლო გამოცემა ხელმისაწვდომია. იხილეთ ამ ბმულზე:

http: eeas.europa.eu/delegations/georgia/.

ENPARD: ახალი ამბები სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამიდან
სიახლეები იხ. ამ ბმულზე: **www.enpard.ge**

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო
Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის

უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებების ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე.

www.nfa.gov.ge/files/images/

DWV & AGRICULTURE

თუ ეძებთ ინფორმაციას იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც საქმიანობენ სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში, იხილეთ ცნობები და ჩვენი წევრების საკონტაქტო მონაცემები ამ ბმულზე: **www.dwvg.ge**

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტებზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/